PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

სსიპ- კოლეჯი „სპექტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი
წევრები: ირმა ღარიბაშვილი
გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-კოლეჯი „სპექტრი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 26 თებერვლის MES 5 20 00249982 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები ირმა ღარიბაშვილი და გიორგი ნაჭყეპია) 2020 წლის 5 და 6 მარტს განახორციელა ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“.

ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ მიერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 13 თებერვალს (ცენტრში რეგისტრაციის №185850) და 2020 წლის 18 თებერვალს (ცენტრში რეგისტრაციის №208727), წარმოდგენილი განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილი „ვებტექნოლოგიების“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა 2019 წლის 12-14 ივნისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

1. რეკომენდაცია - პროფესიული პროგრამების განხორციელებისას მეტი წარმატებისა და განვითარების თვალსაზრისით წარმოების მიერ გამოყოფილ ინსტრუქტორებთან ხშირად ჩატარდეს ტრენინგები თანამედროვე პრაქტიკული სწავლების მიდგომებისა და ვერიფიცირებული მტკიცებულებების მიღების მიზნით- **გათვალისწინებულია, მასწავლებელთა სახლის მიერ ჩატარებულია ტრენინგები 2019 წლის 28-30 სექტემბერს და 24-17 ოქტომბერს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

2. რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტებში აღმოიფხვრას ტექნიკური შეცდომები და სამომავლოდ დაწესებულებამ შეიმუშავოს მექანიზმები, რომლებიც თავიდან ააცილებს მსგავსი ტიპის შეცდომების დაშვების ალბათობას-**გათვალისწინებულია;**

3. რეკომენდაცია - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშიც და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ანონსშიც იქნას მითითებული მათი განხორციელების ადგილი, რათა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს პროგრამების განხორციელების შესახებ სრული ინფორმაციის მარტივად გაცნობის შესაძლებლობა-**გათვალისწინებულია და განთავსებულია ახალი პროგრამებისთვის;**

4. რეკომენდაცია - დაწესებულებამ აქტიურად ჩართოს პროფესიული მასწავლებლები პროგრამების შემუშავების პროცესში- **განხორციელებულია და წარმოდგენილია შეტყობინებების სახით;**

5. რეკომენდებულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოყალიბდეს განსახორციელებელი აქტივობები, მკაფიოდ განისაზღვროს (თვეების მიხედვით) განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური)- **არ არის შესრულებული;**

6. რეკომენდებულია დაწესებულებამ უფრო ინტენსიურად იმუშაოს როგორც დუალურ ასევე მოდულური პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებლებთან და უზრუნველყონ მათი მუდმივი გადამზადება - **გათვალისწინებულია და მასწავლებელთა სახლის მიერ ჩატარებულია ტრენინგები 2019 წლის 28-30 სექტემბერს და 24-17 ოქტომბერს.**

ექსპერტების მიერ, ვიზიტამდე, გადამოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამები, განაცხადი, ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამების დამტკიცების აქტი, ხელშეკრულებები ბაზებთან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის, გადამოწმდა ასევე ვებ-გვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია - მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, 2018-19 ს.წ სამოქმედო გეგმის ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები და ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი, სრულწლოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ქეისები, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულებები და სხვა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების A, B და C გარემო, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პირებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი ეხება დაწესებულების მიერ დამატებაზე წარმოდგენილ სამივე „ვებტექნოლოგიების“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემებისა“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამას

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

	სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

	პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;			
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი დ))

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24-ა ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი, რომელშიც არაა განსაზღვრული მოთხოვნები არასრულწლოვანი პირის მიმართ და რეგულირდება დირექტორის ბრძანებით, თუმცა დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება N534 „სსიპ -კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ არასრულყოფილია <u>**მასშიც არაა განსაზღვრული არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები,**</u> აღნიშნული ბრძანებით (დანართი 4) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მსურველმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს“;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო ან/და საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

ე) ფოტო სურათი 3*4-ცალი“

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი სტუდენტის პირადი საქმე, (დანართი 2) განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე (დანართი 3) რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია, რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი.

განხილული ორი ქეისიდან ორივე არასრულყოფილია, პირად საქმეში არ დევს არც კანონიერი წარმომადგენლის მინდობილობა და არც პირადობის მოწმობის ასლი, ასევე არც ხელმომწერი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, შესაბამისად ხელმომწერ პირთა კანონიერი წარმომადგენლობა არ დასტურდება;

დაწესებულების მიერ დარღვეულია **მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით:**

- არასრულწლოვან სტუდენტს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლება არ აქვს, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

- სტუდენტის პირად საქმეში უნდა იდოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის პირადობა და სტუდენტის დაბადების მოწმობა;
- კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

აუცილებელია დაწესებულებამ სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესში დაარეგულიროს და დაიცვას აღნიშნული საკითხები;

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი ა))

- რეკომენდებულია დაწესებულებამ ბაზებთან განაახლოს ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახლწოდებებთან;
- რეკომენდებულია მოდულების ადაპტირებისას გაითვალისწინოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები;
- რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ არ იყოს ზოგადი და დაწესებულებას ქონდეს აღწერილი კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რითაც რეალურად განსაზღვრავდნენ წარმოდგენილ პროგრამებზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობას.

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი დ))

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ქვესტანდარტი 1.6. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/პუნქტი ვ))

- რეკომენდებულია დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს ასევე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები.

ქვესტანდარტი 2.1.2. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი ა.ბ))

- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიძინოს კომუტატორები (მინიმუმ Cisco Catalyst 2960) და მარშრუტიზატორები (მინიმუმ Cisco 1921);
- რეკომენდებულია N3 შენობაში (C გარემო) ჩატარდეს გასუფთავების სამუშოები. დაცული იქნეს ჰიგიენური პირობები, მოწესრიგდეს სივრცის განათების და განიავების საკითხი და შენობამდე მისასვლელი პანდუსი.
- რეკომენდებულია თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის, „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამის ფარგლებში, იქნეს შეძენილი ინდივიდუალური დაცვის **საშუალებები** - სათვალე, რესპირატორი, ხელთათმანი, ჩაფხუტი, სპეცტანსაცმელი, საყურისები/ყურსაცმები;

ქვესტანდარტი 2.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი გ))

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ კოლეჯის ვებ გვერდზე http://www.spectri.org/index.php/alert/biblioteka განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი) შესაბამისობაში მოიყვანოს დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ წესთან.

ქვესტანდარტი 2.5. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი ე))

- დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან;

ქვესტანდარტი 2.8. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი თ))

- რეკომენდირებულია დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/პუნქტი ი))

- რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/პუნქტი ბ))

- რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის (ორი ჯგუფის) დამატების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დამატებით მინიმუმ ერთი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის აყვანა;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიული მოდულების სწავლებას.

ქვესტანდარტი 3.3. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/პუნქტი გ))

- რეკომენდებულია დაწესებულებას გააჩნდეს პესონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

VII. დაწესებულების მისია

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ მისიაა სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

კოლეჯის ხედვაა 2029 წლისათვის გახდეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ცნობილი პროფესიული სასწავლებელი სწავლებისა და მომსახურების მაღალი ხარისხით, პროფესიონალი/ მოტივირებული მასწავლებლებით, მოტივირებული სტუდენტებით, წარმატებული კურსამთავრებულებით, მოქნილი ადმინისტრირებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით.
კოლეჯის ღირებულებებია:

- გუნდურობა;
- პროფესიონალიზმი;
- მუდმივი მზაობა სწარაფადცვალებადი მოთხოვნებისადმი;
- საქმიანობის გამჭვირვალეობა;
- თანამშრომლობითი, უსაფრთხო, დაცული და ესთეტიური სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პროფესიული სტუდენტები;
- მოტივირებული და კვალიფიციური პერსონალი;
- შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N145 გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯ "სპექტრს" მიენიჭა 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, აქედან 3 პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1041-ით.

დღეისათვის რეესტრის მონაცემებით მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს 385 პროფესიული სტუდენტი;
დაწესებულებას სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ვებტექნოლოგიები" და „კომპიუტერული ქსელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და სისტემები“ და მე-3 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება თითოეული პროგრამისთვის

ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, კოლეჯი მზადაა მოამზადოს მაღალი რანგის პროფესიონალები და შექმნას პირობები, მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ძირითადი მიზანია, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით, შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები. მოამზადოს სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციის მოპოვებისა და კომუნიკაციისათვის ვებტექნოლოგიებს იყენებს. ამიტომაც ინტერნეტ-სივრცე ნებისმიერი სფეროს საქმიანობასა და მომსახურებაზე ინფორმაციის გავრცელების ყველაზე გამოყენებად და მოხერხებულ გარემოდ იქცა. დღეისათვის გლობალურ ქსელში საკუთარი, პროფესიონალურად გაფორმებული და ტექნიკურად გამართული ვირტუალური წარმომადგენლობის ქონა გახდა სტაბილურობისა და საქმისადმი კომპეტენტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი.

შემდეგ აღწერს უშუალოდ ვებტქნოლოგის საქმიანობას, მოვალეობას და დასაქმების სფეროებს;

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, კოლეჯი მზადაა მოამზადოს მაღალი რანგის პროფესიონალები და შექმნას პირობები, მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ძირითადი მიზანია, სტუდენტების დასაქმების მაღალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით, შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები. მოამზადოს სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრები.

შემდეგ მოდის აღწერა უშუალოდ რას შეისწავლის კომპიუტერული ქსელი და სისიტემები;

იატაკისა და ფილის სამუშაოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:

კოლეჯის მისიიდან გამომდინარე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, კოლეჯი მზადაა მოამზადოს მაღალი რანგის პროფესიონალები და შექმნას პირობები, მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ძირითადი მიზანია, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით, შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები სამშენებლოსფეროსმიმართულებით. მოამზადოს სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრები.

მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოებიდან ერთ-ერთი აუცილებელი საჭირო სპეციალობას წარმოადგენს, იატაკისა და ფილის სამუშაოები. მის განვითარებას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია არქიტექტურული შედევრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მსოფლიოს ისტორიაში შორეული წარსულიდან დღემდე თაობიდან-თაობას გადაეცემოდა და იხვეწებოდა მოპირკეთებისა და კერძოდ ფილის სამუშაოები, სხვადასხვა მეთოდები და დღეს ვალდებული ვართ მომავალ თაობას გადავცეთ ეს უნიკალური ხელობა, ქართული საეკლესიო სტილებით, და საყოფაცხოვრებო მანერებისა და ჩვევების შესწავლა და დამუშავება. ამასთანავე საჭიროა რესურსების შერჩევა და მისი გამოყენება ორნამენტებისა და სხვადასხვა მოხატულობის დასამზადებლად.

გარდა ამისა, კოლეჯში ხორციელდება და ეტაპობრივად ვითარდება დუალური მიდგომებით სწავლება, რაც გულისხმობს კოლეჯში თეორიულ და პრაქტიკული მასალის შესწავლას, ხოლო საწარმოში ან კომპანიაში პრაქტიკულად დაუფლებას ხსენებულის. ამ მიდგომის შედეგად სტუდენტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც იღებს და კონკურენტუნარიანი ხდება შრომის ბაზარზე. შესაბამისად კოლეჯს ამ მიმართულებით დამსაქმებელთან აქვს გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

მემორანდუმი და აქტიურად თანამშრომლობს. ამასთან კომპანია ან საწარმო თვითონ აკეთებს მოთხოვნას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N145; 2018წ. 15 მარტი; ცვლ. ბრძ.N129; 2019წ. 20 მარტი) და ასევე, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. დასაბუთებები ზოგადია, სასურველია დაწესებულებას ქონოდა აღწერილი კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რითაც რეალურად განსაზღვრავდნენ წარმოდგენილ პროგრამებზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობას.

ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 10 თებერვლის N 51 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია **პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით (დამტკ. დირექტორის ბრძ.274 17.05.2018 წ. მუხლი 2).**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების დადგენილი პროცედურა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/SecondaryVocational Qualification in Web Technology -სფეროს კოდი 0612;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 63 კრედიტს (6 ზოგადი მოდული -17 კრედიტი, 9 პროფესიული მოდული-46 კრედიტი), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 93 კრედიტს (63 კრედიტს ემატება ქართული ენის 30 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 9,6 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა გაწერილია მოდულების შესწავლის პირობების დაცვით და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

1. შპს. "მერსი" (16.11.2015 N 132)
2. შპს. "ოცნების სახლი" საფირმო სახელი "მეგა დორს" (02.03.2018 N 194)
3. შპს. ”ჯეოტურანი” (გაფორმების თარიღი: 19.12.2013წ N 66)
4. ა(ა)იპ "გეო-გენ+ " (27.06.2017 N 173)
5. შპს. „ New Provider Company “ – (17. 01. 2017 N 157)
6. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (APM Terminals Poti) “ (29.10.2019 -04.2020წ)

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტაა 60 პროფესიული სტუდენტი. სწავლების ფორმა მოდულური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიურერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems -სფეროს კოდი 0612;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 90 კრედიტს (3 ზოგადი მოდული -10 კრედიტი, 11 პროფესიული მოდული-49 კრედიტი და საერთო პროფესიული მოდული 5 -31 კრედიტი), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 120 კრედიტს (90 კრედიტს ემატება ქართული ენის 30 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 18 თვე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა გაწერილია მოდულების შესწავლის პირობების დაცვით და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში იყო ჩანაწერი - „პროგრამის მიზანია შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდას“. რაც წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტის მიზანს, ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას, აღნიშნული ჩაასწორა კოლეჯმა და წარმოადგინა დირექტორის №110 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, სადაც დაკორექტირდა პროგრამის მიზანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

1. შპს. ”სერვის-1” (გაფორმების თარიღი: 26.03.2013წ N 48)
2. შპს. ”ახტელი” (გაფორმების თარიღი: 20.06.2013წ N 58)
3. შპს. ”პრიზმა” (გაფორმების თარიღი: 04.06.2014წ N 92)
4. შპს. "მაიჯიპიესი" (გაფორმების თარიღი: 19.03.2015 N 114)
5. [redacted]
6. შპს. "ჩემი ოფისი" (გაფორმების თარიღი: 06.11.2015 N 131
7. სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (APM Terminals Poti) “ (29.10.2019)
8. შპს. ”ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” (12.01.2016 N 137)
9. შპს. "ნეოტექ" (გაფორმების თარიღი: 19.07.2016 N 152)
10. შპს. "New Provider Company" – (17. 01. 2017 N 157)
11. შპს. „ანაგი" (16.05. 2017 N 164)
12. ა(ა)იპ "გეო-გენ+ " (27.06.2017 N 173)
13. შპს. "ნოვა" (29.06.2018 N 200)
14. შპს. "EMSERVIS" (გაფორმების თარიღი: 05.09.2016 N 153)
15. შპს. „Romms” (29.01.2016 N 139)
16. შპს. „ კომპი შოპი „ (02.03. 2016 N 142)

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტაა 90 პროფესიული სტუდენტი. სწავლების ფორმა მოდულური.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა 60 პროფესიული სტუდენტისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში/ Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works - სფეროს კოდი: 0732.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 82 კრედიტს (7 ზოგადი მოდული 18 კრედიტი, 9 პროფესიული მოდული 59 კრედიტი და 3 საერთო პროფესიული მოდულიი 5 კრედიტი.), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის - 97 კრედიტს(82 კრედიტს ემატება ქართული ენის 15 კრედიტი). პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 12 თვე; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 15 თვე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმა გაწერილია მოდულების შესწავლის პირობების დაცვით და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა.
სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში იყო ჩანაწერი - „პროგრამის მიზანია შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას შემდეგი კვალიფიკაციების მიმართულებით იატაკისა და ფილის სამუშაოებში“. რაც წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტის მიზანს, ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას, აღნიშნული ჩაასწორა კოლეჯმა და წარმოადგინა დირექტორის №110 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, სადაც დაკორექტირდა პროგრამის მიზანი.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

1. შპს. „ქ გრუპ“ (26.03.2019)
2. შპს. „ლენდს ჯგუფ ჯორჯია“ (07.09.2018)
3. შპს. "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201)
4. შპს. ”ოლ-პი ჯგუფი” (გაფორმების თარიღი: 21.05.2014წ N 89)
5. შპს. „აქსისი” (06.06.2014წ)
6. შპს.”ბინის კომფორტი” (გაფორმების თარიღი: 09.07.2014 N 101
7. შპს. "ნეოტექ" (გაფორმების თარიღი: 19.07.2016 N 152)
8. შპს. „კ. სერვის ცენტრი" (გაფორმების თარიღი: 14.11.2017 N 189)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

9. შპს. "ნოვა" (29.06.2018 N 200)
10. შპს. „ენსისი“ (05.02. 2018 N 193)
11. შპს. „Romms” (29.01.2016 N 139)
12. შპს. „ანაგი“ (16.05. 2017 N 164)
13. შპს „ სანდო“ (22. 03. 2019)

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-20. სწავლების ფორმა მოდულური.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია, ასევე აკადემიის მატერიალური რესურსი იძლევა აღნიშნული რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილი პარტნიორი დაწესებულებების მემორანდუმები გაფორმებულია წინა წლებში და ძველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, წარმოდგენილი მემორანდუმები არაა გათვალისწინებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუმცა გამომდინარე იქედან რომ დაწესებულებას ზემოთჩამოთვლილ ბაზებთან აკავშირებს მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობა, ხოლო წამოდგენილი სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მხოლოდ გაცნობით პრაქტიკას, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ექსკურსიით, ყველა ბაზა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ამ მიზნისთვის. ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს მხოლოდ გაცნობით პრაქტიკას ბაზებზე ვიზიტი არ განხორციელებულა;

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბაზებთან განაახლოს ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახლწოდებებთან;

სასურველი იქნებოდა მოდულების ადაპტირებაზე მომუშავე ჯგუფს გაეთვალისწინებინა და მოერგო მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

დირექტორის ბრძანება N 83-ა (21 აგვისტო 2015 წელი) დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისას და განკარგვის წესი, რომლის მიხედვითაც:

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი;
- ✓ პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მემორანდუმების ფარგლებში საწარმოებთან ურთიერთობის პრაქტიკა, ინფორმაციის მიწოდების გზები, რაც წარმოდგენილ იქნა დეტალურად დაწესებულების მხრიდან(გასული კორესპონდენცია, გაგზავნილი პროფესიულ სტუდენტთა სია, შევსებული პრაქტიკის დღიურები და სხვა).

რეკომენდაცია

- ➢ რეკომენდებულია დაწესებულებამ ბაზებთან განაახლოს ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახლწოდებებთან;
- ➢ რეკომენდებულია მოდულების ადაპტირებისას გაითვალისწინოს შეფასების განხორციელების მიდგომები;
- ➢ რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ არ იყოს ზოგადი და დაწესებულებას ქონდეს აღწერილი კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განკუთვნილი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რითაც რეალურად განსაზღვრავდნენ წარმოდგენილ პროგრამებზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტთა რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „სპექრტის“ წესდება (დამტკ. დირექტორის 2019 წლის 01 ივნისის ბრძ. №29);
- პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით (დამტკ. დირექტორის ბრძ.274 17.05.2018წ. მუხლი 2).
- საგანმანათლებლო პროგრამებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტით 10.02.2020წ. ბრძ.N 51-ა;
- დირექტორის 5.03.2020 წ №110 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებით;
- სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისას და განკარგვის წესით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესით;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრის“ საწარმოო პრაქტიკის გავლის წესით“;
- სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესით;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ხელშკრულებებით და მემორანდუმებით;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ვებ-გვედზე http://www.spectri.org განთავსებულია პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების 2019წ. კატალოგი, რომელიც დაწესებულებაშიც არსებობს ასევე მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს კოლეჯის ისტორიას, ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, მისიას, ხედვას, ღირებულებებს, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას, ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, სახელწოდება, საფეხური/დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, შეფასების წესი. ასევე, განთავსებულია ინფორმაცია დუალური მიდგომით სწავლების შესახებ, ასევე იმ პროგრამების შესახებ რომლებიც მილევად რეჟიმში ხორციელდება და ანონსი დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პროფესიული მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგი განახლებულია 2020 წელს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ვებ-გვედზე http://www.spectri.org განთავსებული პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამების 2019 წ. კატალოგით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „ვებტექნოლოგიები“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12.06.2018წ. ბრძ. N495; ცვლ. 25.09.2019 წ. ბრძ.N 881/ი .
2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.10.2017წ. ბრძ. N656; ცვლ. 25.09.2019 წ. ბრძ.N 882/ი.
3. „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს (საგანმანათლებლო სტანდარტს) „მშენებლობის წარმოება“ დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.12.2017წ. ბრძ. N844; ცვლ. 31.01. 2019წ. ბრძ.N 85/ი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/სასწავლო გეგმები;
- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ,,სპექტრის" პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურები;
პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების" შესაბამისად. დუალურ პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებით 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის(ჩარიცხვის)" . დებულების **მუხლი 3** არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებს, **მუხლი 5** პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს, **მუხლი 7** სტუდენტის შიდა და გარე მობილობას, **მუხლი 8** არეგულირებს მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

ექსპერტების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ქეისში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები.

არასრულწლოვნის შემთხვევაში (დანართი 2) განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე (დანართი 3) რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია, რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება N534 „სსიპ - კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასახიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ არასრულყოფილია <u>**მასში არაა განსაზღვრული არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები,**</u> აღნიშნული ბრძანებით (დანართი 4) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მსურველმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი(არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს“;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო ან/და საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო ან/და საშუალო საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

ე) ფოტო სურათი 3*4-ცალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ ასევე გადამოწმდა რეესტრის მონაცემები, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია დადგენილ ვადებში ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ შემუშავებული აქვს სტუდენტის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრება. (ბრძ. N24-ა; 28.01.2020წ.).

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან;

ხარვეზი:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი სტუდენტის პირადი საქმე, (დანართი 2) განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე (დანართი 3) რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია, რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი.
  განხილული ორი ქეისიდან ორივე არასრულყოფილია, პირად საქმეში არ დევს არც კანონიერი წარმომადგენლის მინდობილობა და არც პირადობის მოწმობის ასლი, ასევე არც ხელმომწერი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, შესაბამისად ხელმომწერ პირთა კანონიერი წარმომადგენლობა არ დასტურდება;
  დაწესებულების მიერ დარღვეულია
  მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- არასრულწლოვან სტუდენტს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლება არ აქვს, ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა.
- სტუდენტის პირად საქმეში უნდა იდოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის პირადობა და სტუდენტის დაბადების მოწმობა;
- კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით.

ზემოაღნიშნული რეგულაციები დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურით;
- დირექტორის 2018 წლის 29 აგვისტოს N 485 ბრძანებით (პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მექანიზმები) ;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საბუთებით (დანართი 2 და დანართი 3)
- დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება N534-ით „სსიპ -კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასახიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“(დანართი 4)

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურის მე-9 მუხლის(მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების ან ავტორიზაციის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები) შესაბამისად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს კვალიფიკაცია იმ პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც სწავლა დაიწყეს გაუქმების თარიღამდე; პროგრამაზე ავტორიზაციის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი ვადების დაცვით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე შიდა მობილობით ან გარე მობილობით იმ ალტერნატიულ დაწესებულებებში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

- კოლეჯი "მოდუსი", კოლეჯებში მიმდინარე ერთი დ აიგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიათვის (04.04.2019წ. -04.04.2024წ).
- კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია", კოლეჯებში მიმდინარე ერთი და იგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (04.04.2019წ. -04.04.2024წ).
- კოლეჯი "თეთნულდი", კოლეჯებში მიმდინარე ერთიდაიგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (07.05.2019წ. - უვადო)
- კოლეჯი "მერმისი" კოლეჯებში მიმდინარე ერთიდაიგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (04.04.2019წ. -04.04.2024წ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი", კოლეჯებში მიმდინარე ერთი და იგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (04.04.2019წ. -04.04.2024 წ).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 24 ა ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურით;
- სსიპ კოლეჯ მოდულთან გაფორმებული მობილობის მემორანდუმებით ;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დირექტორის 2015 წ. 4 სექტემბრის N88 ბრძანებით დამტკიცებულია სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM, რომელიც ითვალისწინებს:

- ადმინისტრაციის წევრის შეფასებას ადმინისტრაციის მიერ;
- ადმინისტრაციის წევრის შეფასებას პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

- ადმინისტრაციის წევრის შეფასებას პროფესიული სტუდენტის მიერ;
- მასწავლებლის შეფასებას ადმინისტრაციის მიერ;
- მასწავლებლის შეფასებას სტუდენტის მიერ;
- ადმინისტრაციის შეფასების მოდელს;
- მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მოდელს.

ვიზიტის პერიოდში წარმოადგინილი იქნა სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM შესაბამისად განხოციელებული მასწავლებლის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ, შევსებული კითხვარები და ანგარიში, ასევე სასწავლო პროცესის მონიტორინგის შეფასების შევსებული ფორმა N5, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა დასწრების აღრიცხვას, აუდიტორიის მოწესრიგებულობისა და სისუფთავის შემოწმებას და სასწავლო გარემოს ორგანიზების უზრუნველყოფის შეფასებას, რაც შეფასებულია ქულებით და საჭიროების შემთხვევაში შენიშვნის სახით ერთვის კომენტარები.

წარმოდგენილი იყო შეტყობინებების სახით პროგრამების ადაპტირების პროცესში მიმოწერები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს შორის შენიშვნა/წინადადებების მოწოდების შესახებ, ასევე შეტყობინებები პროფესიული მასწავლებლებისა ადმინისტრაციის მისამართით და პირიქით, შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა ასევე შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტები;

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იქნა 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესრულების ანგარიში, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რომელიც წლის მანძილზე განხორციელებული სამუშაოების გარდა მოიცავს ასევე პროფესიული მასწავლებლებითვის ჩატარებულ ტრენინგებსაც.

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას აღნიშნა რომ უახლოოეს მომავალში იგეგმება ხარისხის მართვის სისტემა IFQM-ით გათვალისწინებული ყველა გამოკითხვის ჩატარება.

რეკომენდებულია კვლევები მხოლოდ შეფასების მიმართულებით რომ არ ტარდებოდეს, მოხდეს ასევე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია დაწესებულებაში კვლევები ჩატარდეს არა მხოლოდ შეფასების მიმართულებით, არამედ მოხდეს ასევე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 38-ა (24 აპრილი 2017 წელი) დამტკიცებული კორექტირებული შინაგანაწესის, კოლეჯის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის ცნობად მიღების და კოლეჯის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით.
- კითხვარებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით;
- შეტობინებებით;
- კოლეჯის ხარისხის მენეჯერის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშით;
- 2015 წლის 04 სექტემბრის N88 დირექტორის ბრძანებით სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში სრულყოფისა და ხარისხის მართვის სისტემა IFQM-ის სრულყოფის მოდელზე დაყრდნობით შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. N10; კოლეჯის განკარგულებაშია 11 918 კვ.მ-ის 13 შენობა-ნაგებობა, რომელიც გადაცემულია სახელმწიფოსგან დაწესებულების არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 3 ნაგებობაში: N1. 6379.25 კვ.მ; N3. 2920.81; N5 306.05 კვ.მ. კოლეჯის ფართი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის საჭირო აუდიტორიებს, ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეს, ბიბლიოთეკას და სამედიცინო სივრცეს. ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	საქართველო, ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. N10	11918 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობის გეგმით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“

პროგრამა ხორციელდება N1 შენობაში, პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ორი A-B გარემო აუდ. N311 (15 ადგილი) და N214 (14 ადგილი), ორი B გარემო აუდ. N310 (16 ადგილი) და აუდ. N406 (17 ადგილი), ოთხი A გარემო აუდ. N308 (15 ადგილი), N309 (19 ადგილი), N312 (20 ადგილი) და N416(18 ადგილი).

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

პროგრამა ხორციელდება N1 შენობაში, პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ორი A-B გარემო აუდ. N307 (16 ადგილი) და N403 (13 ადგილი, 17 კომპიუტერი), ორი B გარემო აუდ. N310 (16 ადგილი) და აუდ. N406 (17 ადგილი), ოთხი A გარემო აუდ. N308 (15 ადგილი), N309 (19 ადგილი), N312 (20 ადგილი) და N416(18 ადგილი).

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალის მიხედვით შეძენილი იყო ხელსაწყო-ინვენტარი. ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო მატერიალური რესურსის ჩამონათვალთან შედარების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული ინვენტარი არ იყო შეტანილი კოლეჯის მიერ წარმოდგენილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალში. კერძოდ, კომუტატორები (მინიმუმ Cisco Catalyst 2960) და მარშრუტიზატორები (მინიმუმ Cisco 1921). პროფესიული სტუდენტი სწავლის შედეგზე გადის Cisco Packet Tracer სიმულაციური პროგრამით.

თუმცა სასურველია, რომ სტუდენტს ჰქონდეს აღნიშნული ქსელური მოწყობილობებთან არა მხოლოდ ვირტუალური შეხება, არამედ ფიზიკურიც.

კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებულია შეძენის პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

რეკომენდაცია

რეკომენდებულია კოლეჯმა შეიძინოს კომუტატორები (მინიმუმ Cisco Catalyst 2960) და მარშრუტიზატორები (მინიმუმ Cisco 1921);

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

პროგრამის გასახორციელებლად გამოიყენება N1 შენობის ორი B გარემო აუდ. N310 (16 ადგილი) და აუდ. N406 (17 ადგილი) და ხუთი A გარემო აუდ. 407 (14 ადგილი), აუდ. N308 (15 ადგილი), N309 (19 ადგილი), N310 (16 ადგილი) და N416 (18 ადგილი). N 5 შენობის 1 სართულის (მეფილეთა კლასი) A გარემო (12 ადგილი), N5 შენობის მე-2 სართულის (მეფილეთა კლასი) A-C გარემო (14 ადგილი) და N3 შენობაში (C გარემო)

კოლეჯში **„იატაკისა და ფილის სამუშაოები“** პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია AC გარემო (123.0 კვ.მ.). აღნიშნული AC გარემო მდებარეობს N5 შენობის მეორე სართულზე. „ვინილის ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვის“, „ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვისა“ და „სხვადასხვა სახის იატაკის დაგების (ლამინირებული, ხის)“ მოდულების შემთხვევაში პრაქტიკული სამუშაოები განხორციელდება მეორე სართულზე არსებულ ცალკე სივრცეში - C გარემოში (145,35 კვ.მ.). ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩდა, რომ გარემო არ არის ადაპტირებული სსსმ პირებისთვის. კოლეჯის წარმომადგენლებმა ვიზიტის პერიოდში გამოყვეს ოთახი - A გარემო N5 შენობის პირველ სართულზე და აღნიშნეს, რომ სსსმ პირების მიღების შემთხვევაში სწავლა განხორციელდება შენობის პირველ სართულზე და პრაქტიკის გარემოს მოაწყობენ ცალკე, სხვა N3 შენობაში. კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტებს დაათვალიერებინეს ცალკე მდგომი N3 შენობა - C გარემო. შენობამდე მისავსლელი პანდუსი არ არის ბოლომდე მიყვანილი;

<u>კონკრეტული მომენტისათვის ეს შენობა არ გამოდგება როგორც სასწავლო გარემო, ვინაიდან ჩასატარებელია გასუფთავების სამუშოები. არაჰიგიენური პირობებია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იქ მყოფ პირთა ჯანმრთელობის დაზიანება, ასევე მოსაწესრიგებელი იქნება სივრცის განათების და განიავების საკითხები და შენობამდე მისასვლელი პანდუსი.</u>

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ N3 შენობის მოწესრიგება დასუფთავება დაიწყო ვიზიტის პერიოდშივე, გამოსუფთავდა შენობა და დაიწყეს კედლების შეთეთრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ ვიზიტისას გადამოწმდა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. გამოთხოვილ იქნა და შემოწმდა მატერიალური რესურსის შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია კოლეჯმა შეიძინოს კომუტატორები (მინიმუმ Cisco Catalyst 2960) და მარშრუტიზატორები (მინიმუმ Cisco 1921);
- რეკომენდებულია N3 შენობის C გარემოში ჩატარდეს გასუფთავების სამუშოები. დაცული იქნეს ჰიგიენური პირობები, მოწესრიგდეს სივრცის განათების და განიავების საკითხი და შენობამდე მისასვლელი პანდუსი.
- რეკომენდებულია თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის იქნეს შეძენილი **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები** - სათვალე, რესპირატორი, ხელთათმანი, ჩაფხუტი, სპეცტანსაცმელი, საყურისები/ყურსაცმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვების დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი გარემო, სათანადო ბუნებრივი განათება, ელ. ენერგიის და წყლის მიწოდება ხდება უწყვეტად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

დაწესებულებას ელექტროენერგია მიეწოდება სააქციო საზოგადოება თელასის მიერ, წყალი შპს ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის მიერ, ხოლო გაზით დაწესებულებას უზრუნველყოფს შპს ყაზტრანსგაზ თბილისი.

ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების საშუალება. კოლეჯი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით.

კოლეჯის N1 შენების ყველა სართულზე და N5 შენობის პირველ სართულზე განთავსებული სველი წერტილები (გოგონებისთვის, ბიჭებისთვის და სსსმ - ეტლით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტისათვის) ადაპტირებულია, მოპირკეთებულია და აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს, რომელშიც განთავსებულია 8 კომპიუტერი, 1 ქსეროქსი და 1 სკანერი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საცავით. ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერებში. ასევე, არის ჩაწერილი დისკებზე მოდულების მიხედვით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საინვენტარიო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

წიგნი დანომრილია და ზონარგაყრილია. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა OPENBIBLIO.

კოლეჯის ვებ გვერდზე http://www.spectri.org/index.php/alert/biblioteka განთავსებულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ტექნიკური წიგნების ჩამონათვალი, ელექტრონული კატალოგი (OPAC) და მხატვრული ლიტერატურის ჩამონათვალი.

პროგრამების შერჩევითი წესით, მოდულების მიხედვით შემოწმდა სასწავლო რესურსი. დადასტურდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის ბეჭდური ან ელექტრონული სახით არსებობა. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ფორმულარები.

ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი, ქსეროქსების აღრიცხვის ჟურნალი და დისკების აღრიცხვის ჟურნალი.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკარმა იტერვიურებისას აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მასალების ამობეჭდვას/დაქსეროქსებას და სტუდენტთა უზრუნველყოფას მათ მიერ მოთხოვნილი მასალით.

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი შესაბამისობაში მოიყვანოს საკუთარ სახელწოდებასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ ბიბლიოთეკის დებულებით (დირექტორის ბრძ. №29; 17.03.17წ)
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ვებ გვერდი http://www.spectri.org/index.php/alert/biblioteka
- საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები“;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამა - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
- საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმე;
- ვიზუალური დათვალიერება.
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.
დღეისათვის კოლეჯის განკარგულებაშია 243 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი, 26 პრინტერი, 17 პროექტორი;
საერთო რაოდენობიდან - 27 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი და 11 პრინტერი გამოიყენება ადმინსტრაციისათვის, პედაგოგებისათვის და დაწესებულების მართვისათვის, ხოლო 216 კომპიუტერი, 15 პრინტერი და 17 პროექტორი გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის.
კოლეჯი უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. დაწესებულებას შპს „მაგთიკომთან“ 2019 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება № 498 ინტერნეტით მომსახურების გაწევის შესახებ, ასევე 2019 წ. 3 აპრილის N126 და 2019 წლის 27 დეკემბრის N499

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაფორმებული ხელშეკრულებებით, შპს "პროსერვისი" დაწესებულებას უწევს დომენის და ჰოსტინგის მომსახურეობას. კოლეჯს აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: ვებ გვერდი - www.spectri.org და ელექტრონული ფოსტა - spectri.org@gmail.com; ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტის ხელშეკრულებით N498; 26/12/2019წ.
- დომენის ხელშეკრულებით N126; 03.04.19წ;
- ჰოსტინგის ხელშეკრულებით N499, 20.12.2019 წ;
- საქმისწარმოების სისტემით eflow;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზიალური დათვალიერებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა რეგულირდება დირექტორის 2015 წ. 4 სექტემბრის N90-ა ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის საქმისწარმოების ინსტრუქციით".
სსიპ კოლეჯ „სპექტრში" მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow).
კოლეჯში ხდება ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, დიპლომების, სერთიფიკატების, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში აღრიცხვა, ჟურნალები დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაცია

- დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულების სახელწოდებასთან და ახალ სტანდარტებთან;

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 113-ა (9 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი“ არქივის წარმოების დებულებით;
- დირექტორის ბრძანებით N 90-ა (4 სექტემბერი. 2015 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის“ საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- დირექტორის ბრძანებით N 89-ა (4 სექტემბერი 2015 წელი) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი“ eflow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში ჩართვის შესახებ;
- რეგისტრაციის ჟურნალებით;
- საქმისწარმოების ინსტრუქციით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძანება N116 ა). 2018 წლის 10 აგვისტო);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, შენობა სრულად აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმებს, დაწესებულებას ასევე აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, ყველა აუდიტორიაში დამონტაჟებულია კვამლის აღმომჩენი დეტექტორი.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ავტომატური სისტემის მუშაუნარიანობა, უხელმძღვანელოს შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს საგანგებო სიტუაციების დროს; სისტემატიურად შეამოწმოს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობა (ვიზუალური დათვალიერება კომპეტენციის ფარგლებში), ცეცხლმაქრი საშუალებების ვარგისიანობა; საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შეტყობინება საგანგებო სიტუაციების სამსახურში; საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

კოლეჯის შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საგანგებო შტაბი და გაწერილა შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სპეციალური სამსახურის მიერ შესრულებული და დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა და გეგმის შესაბამისად განთავსებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად, მოქმედების ვადაა 2020 წ. აპრილი.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესის შესაბამისად ბრძანებით დანიშნულია მედდა, რომელიც ზრუნავს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის, ასევე ახორციელებს მედიკამენტების კონტროლს. დაწესებულების სამედიცინო ოთახში განლაგებულია სამედიცინო კარადები, მოსასვენებელი ტახტი, სხვადასხვა აღჭურვილობა, სველი წერტილი და სხვა. კარადებში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ვადიანი მედიკამენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც ვალდებულია წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვისმუდმივად აკონტროლოს შენობის გარე და შიდა პერიმეტრზე განთავსებული სამეთვალყურეო კამერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დოკუმენტაცით;
- დირექტორის ბრძანებით N 116-ა (10 აგვისტო 2018 წელი) დამტკიცებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 191 (18 აგვისტო 2015 წ) დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით,პირადი საქმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის წესი. N1 შენობაში მოწყობილია უნივერსალური დიზაინის მქონე ადაპტირებული გარემო იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას. დამონტაჟებულია პანდუსები, N1 შენობის ყველა სართულზე, ხოლო N5 შენობის პირველ სართულზე ადაპტირებულია სველი წერტილები, კოლეჯში N1 შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი. უსაფრთხოების მიზნით ლიფტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამმონტაჟებელი ორგანიზაცია შპს „ჯელიფტი“ ვალდებულებას იღებს (ხელშ.N25; 23.01,19წ) ყოველთვიურად შეამოწმოს ლიფტის ძრავი, სადგამი, მუხრუჭი, სიჩქარის შემზღუდველი, ავარიული გათიშველები, კაბინის და საპირწონის მცოცავები, ბაგირები, კარის მექანიზმები, შახტა, აწარმოოს შეზეთვა და სხვა წვრილმანი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- ინტერვიურებით
- შემუშავებული ინკლუზიური განათლების პროექტით

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდი - http://www.spectri.org/ ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ვებ-გვერდს გააჩნია მიმოწერის ველი.

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია კოლეჯის ისტორია, ინფორმაცია ადმინისტრაციის შესახებ, სიახლეები, ნორმატიული აქტები, ფოტო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

გალერეა, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ბიბლიოთეკის შესახებ. ვებ-გვერდზე განთავსებულია კატალოგი, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა(ორგანოგრამა), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ინფორმაცია დასაქმების შესახებ. პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია.

მიმდინარეობს ვებ გვერდის რეგულარული განახლება.
სასურველია ვებგვერდზე განთავსებული იყოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით - - http://www.spectri.org/
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9. შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2019-2024 წწ) გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ. N27-ა; 27.03.2019წ). სტრატეგიული გეგმა შექმნილია წინა წლების სამუშაო გაცდილების SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმის თანახმად სსიპ-კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც საქართველოს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების სტრატეგიის საფუძველზე სასწავლებლის პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პარტნიორების ერთობლივი მუშაობის შედეგად, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად გამოკითხული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასეევე 2018-2019 წ.წ. სამოქმედო გეგმის ანგარიში განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

სტრატეგიულ გეგმაში (2019-2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზანი, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია და განხორციელების ვადები, სასურველია სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ფინანსური შესაძლებლობების გაუმჯობესებას და კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდას.

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: გასატარებელი ღონისძიებების, ანგარიშზე პასუხიმგებელი პირების და შესრულების სავარაუდო პერიოდის შესახებ. გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

2018 წლის სამოქმედო გეგმის წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია უკვე შესრულებული ამოცანების დრო, შესაბამისი ბრძანებები და შემსრულებელი პირები. გაანალიზებულია ასევე ის ამოცანები, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა და დასახულია მათი შესრულების ახალი გზებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

რეკომენდაცია

- რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით (N 115-ა 10 აგვისტო 2018 წელი) დამტკიცებული ხედვის, ღირებულების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების,განხილვის,დამტკიცების და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და ანგარიშგების წესით;
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული განვითარების 6(2019-2024) წლიანი გეგმით;
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ სამოქმედო - ერთწლიანი გეგმით
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზით;
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზით;
- ინტერვიუირებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯმა წაარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებულია და სამეურნეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი, კოლეჯს შექმნილი აქვს ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დირექტორის ბრძანება N114-ა 2018 წლის 10 აგვისტო).
დაწესებულების პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს ბრძ. №114-ა დამტკიცებული ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით.
- საშტატო განრიგით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო. 2018 წელი) რომლის მიხედვით პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით) ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის სამსახურში მიღების წესი, პირადი საქმის წარმოება და სხვა სამსახურებრივი ურთიერთობები რეგულირდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულების, დებულების, საქმისწარმოების წესის და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დასამატებელი პროგრამების პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.

ვიზიტისას ექსპერტებმა განახორციელეს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურება. მათ აღნიშნეს, რომ ჩართულნი იყვნენ პროგრამის ადაპტირების პროცესში და აქვთ მოდულური პროგრამაზე სწავლების გამოცდილება. მათ გავლილი აქვთ ტრენინგები როგორც სწავლების მეთოდებში, ასევე შეფასების მეთოდებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

„ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 60 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 15 პროფესიული მასწავლებელი (3 დარგობრივი, 12 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის რაოდენობა და მატერიალური რესურსი იძლევა საშუალებას დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს მოთხოვნილი 60 პროფესიული სტუდენტი;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 90 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 9 (2 დარგობრივი, 7 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.
დარგობრივი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და მატერიალური რესურსი არ იძლევა საშუალებას დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს მოთხოვნილი 90 პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ მოცემულ მომენტში არ არის საკმარისი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და ტექნიკური აღჭურვილობა. ექსპერტების გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს 60-ით.

კოლეჯის დირექტორის განმარტებით დაწესებულება ფლობს დამატებით მატერიალურ რესურს კომპიუტერული ტექნიკის სახით და შესაძლებელია მოთხოვნილი კვოტის უზრუნველყოფა. ასევე, მან აღნიშნა, რომ გამოაცხადებს ვაკანსიას პროფესიული მასწავლებლის თანამდებობაზე აღნიშნული მიმართულებით.

თუ დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის (ორი ჯგუფის) დამატების გადაწყვეტილებას მიიღებს რეკომენდირებულია დამატებით მინიმუმ ერთი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის აყვანა;

„იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 20 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 16 (3 (1 სპეციალობის და 2 საერთო) დარგობრივი და 13 ზოგადი) პროფესიული მასწავლებელი.

დარგობრივი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და მატერიალური რესურსი იძლევა საშუალებას დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს მოთხოვნილი 20 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ 10 მოდულის სპეციალობის მოდულიდან 9 პროფესიული მოდულის განმახორციელებლად განსაზღვრულია 1 პროფესიული მასწავლებელი. სასურველია, კოლეჯმა მიიღოს დამატებით 1 პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიული მოდულების სწავლებას.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ მასწავლებლებთან. როგორც გასაუბრებამ აჩვენა, მასწავლებლები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ჩართულნი იყვნენ პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება.

პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 30 პროფესიული სტუდენტის (ორი ჯგუფის) დამატების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დამატებით მინიმუმ ერთი დარგობრივი პროფესიული მასწავლებლის აყვანა;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიული მოდულების სწავლებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

- პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;
- „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (ქვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგიით“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N145; 2018წ. 15 მარტი; ცვლ. ბრძ.N129; 2019წ. 20 მარტი);
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე - „ვებტექნოლოგიები“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით“.
- პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N7-ა ბრძანებით და 2018 წლის 30 აგვისტოს N489 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში“ მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
დღევანდელი მდგომარეობით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

წესით განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები; კოლეჯში მასწავლებელთა არჩევის წინაპირობები; კონკურსის გამოცხადება; საკონკურსო კომისია; საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება; საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება; გასაუბრება; გადაწყვეტილების მიღება და გამარჯვებულის გამოვლენა; დასკვნითი დებულებები.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები და დადგინდა მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესთან.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იყო პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ პერსონალის თანხმობები, რაც დაწესებულებას არ ქონდა;

რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებას გააჩნდეს პესონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 7-ა (2 თებერვალი, 2015 წელი) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრში“ მასწავლებელთა აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;
- დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N489 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებებით;
- დირექტორის ბრძანებით N 114-ა (10 აგვისტო. 2018 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესით;
- დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N489 ბრძანებით.
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით/ ხელშეკრულებით;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით მისამართების მიხედვით
1	ვებტექნოლოგიები	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10	0	**60** ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10
2	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	90	120	ქართული	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10	0	**60** ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10	0	**20** ქ. თბილისი ჭიჭინაძის ქ. N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ .თბილისი, 2020 წელი)

PDF Eraser Free

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე 1;
დანართი 3. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე 2;
დანართი 4. დირექტორის ბრძ.N534; 21.10.19; „სსიპ-კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“;

31.03.2020 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: